ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 382

30 ოქტომბერი
"---"-------- 2015 წ

ქ. თბილისი

ქ.თბილისში, სამგორის რაიონში მდებარე მიწის ნაკვეთების (ს/კ №01.19.39.005.034, №01.19.33.019.121, №01.19.16.003.036.) ა(ა)იპ - საქართველოს რაგბის კავშირისთვის (ს/კ № 204874911) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო აღნაგობის ფორმით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1]-ე მუხლის მე-6 და მე-9 პუნქტების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. თანხმობა მიეცეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2015 წლის 16 სექტემბრის №37.21.1081 განკარგულებით გათვალისწინებული ქვემოთ აღნიშნული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით ა(ა)იპ - საქართველოს რაგბის კავშირისთვის (ს/კ №204874911) უსასყიდლო აღნაგობის ფორმით გადაცემაზე, რაგბის მოედნების განთავსების და სათანადო ინფრასტრუქტურის მოწყობის მიზნით:

ა) ქ. თბილისში, სამგორის რაიონში მდებარე 50000 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (ს/კ №01.19.39.005.034.)

ბ) ქ. თბილისში, სამგორის რაიონში მდებარე 70000 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (ს/კ №01.19.33.019.121.);

გ) ქ. თბილისში, სამგორის რაიონში მდებარე 145898 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (ს/კ №01.19.16.003.036.);

2. უსასყიდლო აღნაგობის ვადად განისაზღვროს 50 წელი.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი